საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-78

30/01/2020

ქ. თბილისი

სს „რუსთავის აზოტის " ქიმიურ წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 20 იანვარს სამინისტროს მომართა სს „რუსთავის აზოტის" დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს სამინისტროს მიერ სს „ენერჯი ინვესტის" ქიმიურ წარმოებაზე (ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №2) გაიცა №43 (11.12.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2011 წლის 31 იანვარს სს „ენერჯი ინვესტისა" და შპს „კარატი+"-ის ერთობლივი განცხადების საფუძველზე ზემოაღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „კარატი+"-ს. 2011 წლის 21 ნოემბერს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული ნებართვა შპს"კარატი+"-ისგან გადაეცა შპს „რუსთავის აზოტს". 2016 წელს შპს „რუსთავის აზოტმა" შეიცვლა სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სს „რუსთავის აზოტის" სახელით. შესაბამისად, სამინისტროს მიერ სანებართვო მოწმობა გაიცა სს „რუსთავის აზოტის" სახელზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2008 წლის 11 დეკემბრის №43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „ენერჯი ინვესტი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 16 დეკემბრის №815 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2008 წლის №43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიურ წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №43; 11.12.2008);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „ენერჯი ინვესტი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 16 დეკემბრის №815 ბრძანება;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „რუსთავის აზოტი“-ზე სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 14 დეკემბრის №ი-658 ბრძანება;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი